31/08/2026

MES 7 26 0001119633

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი; საბჭოს წევრი
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი, სხდომის მდივანი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
დიმიტრი ცანავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა რეცა:
ვახტანგი აბაიშვილი - სკოლის დირექტორი;
სალომე ზიბზიბაძე - სკოლის დირექტორის მოადგილე.

შპს - ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი:
ნათია კილაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა რეცა:
ა) კესო ბოყოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლელა წურწუმია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს - ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი:

ა) მაია ბუაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 17 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, შესაბამისად , 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის მდივნის ფუნქცია შეასრულა საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიან სკოლა რეცაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიან სკოლა „რეცაში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, კესო ბოყოველმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ რუსთავში, დავით გარეჯის ქუჩა N2-ში. აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 186. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 01 და 02 ივლისს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში თავდაპირველად მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 31 ოქტომბერსა და 01 ნოემბერს. აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საბჭომ სკოლას 2026 წლის მაისის თვიდან განუსაზღვრა მონიტორინგი ადგილზე ვიზიტით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები. მისი თქმით, აღნიშნული სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, დასკვნის პროექტთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისად, ინდიკატორები 1.1.1.2 და 1.1.1.5 შეფასდა როგორც „შეესაბამება“, ექსპერტებმა მიიღეს ფსიქოლოგის პირად საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტი, თუმცა ინდიკატორი 3.1.2.4 დარჩა „არ შეესაბამება“, 3.4.1.6 და 3.5.1.4 ინდიკატორი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო სხვა ინდიკატორებთან მიმართებით შეფასებები დარჩა უცვლელი. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, მე-8 გვერდზე ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ინდიკატორები 1.1.1.2 და 1.1.1.5 ცხრილში ასახული იყო როგორც „ხარვეზი“, თუმცა რეალურად სკოლას გამოსწორებული ჰქონდა აღნიშნული ინდიკატორები.

ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ სკოლამ უნდა შეიმუშაოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სრულყოფილი მექანიზმი და უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დასაქმება. ამასთან, სკოლამ უნდა მოაწყოს ადაპტირებული სველი წერტილი, უზრუნველყოს სპორტული დარბაზის ხელმისაწვდომობა შშმ პირებისთვის და აღმოფხვრას შშმ პირებისთვის დამაბრკოლებელი ზღურბლები.

ექსპერტმა, კესო ბოყოველმა წარადგინა სკოლის მიმართ დაფიქსირებული ხარვეზები, კერძოდ:

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არ იყო შემუშავებული სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
- სკოლის ფილოსოფია არ იყო სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული;
- სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული;
- სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება არ ემთხვეოდა სკოლის მიერ განხორციელებულ პრაქტიკულ მმართველობით საქმიანობას;
- სკოლის მიერ გადმოგზავნილი ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით და ოქმში ასახული კომისიის შემადგენლობა არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

- კომისიის შემადგენლობა არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს (ექიმის კონკურსი);
- სკოლის თანამშრომელთა დიდ ნაწილს არ ჰქონდა შესაბამისი ნასამართლეობის ცნობა;
- სკოლამ ვერ წარმოადგინა ფსიქოლოგის პირადი საქმე;
- პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სკოლა ვერ უზრუნველყოფდა სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან;
- უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელ პირად სკოლას, ბრძანებით, განსაზღვრული არ ჰყავდა ორივე სქესის წარმომადგენელი, რათა, საჭიროების შემთხვევაში დათვალიერება განხორციელებულიყო კანონმდებლობის მიხედვით, სქესის შესაბამისად;
- სკოლის საკუთრებაში/კანონიერ მფლობელობაში არსებული მერხების, სკამებისა და კომპიუტერული ტექნიკის ჯამური რაოდენობა არ შეესაბამებოდა სკოლის მიერ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას;
- სკოლა საქმისწარმოების პროცესში არ იყენებდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას;
- ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორით გათვალისწინებული სკოლის ფინანსური მდგრადობის შესახებ ინფორმაცია;
- არ იყო უზრუნველყოფილი სკოლის ფინანსური სახსრებით სამოქმედო გეგმის განხორციელების შესაძლებლობა და სკოლის ფინანსური მდგრადობა;
- სკოლას არ ჰქონდა ფინანსური მართვის, კერძოდ, შემოსავლისა და ხარჯის დაგეგმვის, ფინანსების მონიტორინგისა და ანალიზის სისტემა; სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამებისა და მათი სპეციფიკის შესახებ ინფორმაცია არ იყო გამოქვეყნებული არც ერთ საჯარო სივრცესა და დოკუმენტში, რომელიც საჯაროდ იქნებოდა ხელმისაწვდომი.

ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, აღნიშნა, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერა ისეთი საკითხები, რომელიც იყო უკვე დამდგარი ფაქტობრივი გარემოება ან/და ხარვეზის გამოსწორების ვადები არ იყო რეალისტური და სარწმუნო ექსპერტთა ჯგუფისთვის.
ექსპერტმა, კესო ბოყოველმა, აღნიშნა, რომ სკოლას გამოსწორებული ჰქონდა 2024 წლის მონიტორინგის დროს მიღებული რიგი რეკომენდაციები, თუმცა სკოლას შესრულებული არ ჰქონდა:

- 3.1.1.1 ინდიკატორთან გაცემული რეკომენდაცია შინაგანაწესისა და კვების ობიექტის მონიტორინგთან დაკავშირებით;
- 3.1.1.2 ინდიკატორთან მიმართებით სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების და პასუხისმგებლობების გადანაწილება;
- 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით თანამშრომელთა პირად საქმეებში სავალდებულო ცნობების სრულყოფილად განთავსება;
- 3.7.1.2 ინდიკატორთან მიმართებით სკოლას არ ჰქონდა ფინანსური რესურსების მართვის სისტემა;
- 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, სკოლის სივრცეები არ იყო სრულყოფილად აღჭურვილი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით;
- 3.4.1.3 ინდიკატორთან მიმართებით უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წესი არ იყო შეთანხმებული სამინისტროსთან;

- 3.5.1.1 - სკოლამ ვერ წარმოადგინა სასკოლო მატერიალური რესურსის საკუთრებაში არსებობის ან კანონიერი ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულება;
- 3.5.1.4 ინდიკატორთან მიმართებით სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებული სივრცეები (მისი თქმით სკოლას არ ჰყავდა შშმ მოსწავლე);
- 3.6.2.2 ინდიკატორთან მიმართებით სკოლას არ ჰქონდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
- 3.6.3.5 ინდიკატორთან მიმართებით სკოლას ვებ-გვერდზე განთავსებული არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია;
- 3.7.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, სკოლას არ ჰქონდა შემოსავლისა და ხარჯის ამსახველი სკოლის ბიუჯეტი;
- 4.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით საჯაროდ არ იყო ხელმისაწვდომი მის მიერ შეთავაზებული მომსახურებების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ სრული ინფორმაცია.

ექსპერტის, კესო ბოყოველის თქმით, დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევებიც, რომლებიც დეტალურად იყო აღწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის ბუნდოვანი იყო როგორ ფუნქციონირებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იმ ხარვეზებით, რომლებიც გამოვლინდა მონიტორინგის პერიოდში. ასევე აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელი იყო სკოლის ფინანსური არამდგრადი მდგომარეობა. მან მიმართა სკოლის დირექტორს, დაეფიქსირებინა პოზიცია და დაეზუსტებინა, რამდენი აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლე ჰყავდა სკოლას. სკოლის დირექტორის, ვახტანგ აბაიშვილის, თქმით, სკოლაში სწავლობდა 186 მოსწავლე. მისი განცხადებით, შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“ საქართველოში პირველი კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყო და აღნიშნული დროის განმავლობაში სკოლას მოსწავლეებისთვის სწავლის საფასური არ გაუზრდია. ამასთან, სკოლაში ბევრ მოსწავლეს ჰქონდა დავალიანება, თუმცა, ამის გამო მათი სკოლიდან ამორიცხვა დაუშვებლად მიაჩნდა. მოსწავლეთა მომსახურებისთვის სკოლა უზრუნველყოფდა კერძო ტრანსპორტით გადაადგილებას. დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა ოთხი საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთაც „რეცა“ წარმატებით უწევდა კონკურენციას. სკოლაში დიდი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებდა ელექტრონული ჟურნალი. ასევე, მოსწავლეებს ჰქონდათ ჭადრაკის სწავლების შესაძლებლობა და აკრძალული იყო მობილური ტელეფონების გამოყენება. სკოლის დირექტორმა საბჭოს მიმართა თხოვნით, სკოლისთვის მიეცა ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობა და შემდგომი ავტორიზაციის პროცესს სკოლა სრულად აღმოფხვრილი ხარვეზებით შეხვდებოდა. საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სრულად ესმოდა სკოლის დირექტორის პოზიცია, თუმცა, ხარვეზებთან ერთად, სკოლის მიმართ გაცემული იყო რეკომენდაციებიც, რომელთა ნაწილი ასევე წარმოადგენდა წინა ვიზიტის პერიოდში დაფიქსირებულ ხარვეზებს. დავით მალაზონიამ, სკოლის წარმომადგენელს, მიმართა და სთხოვა, დაეზუსტებინა, თუ როგორ წარმოედგინათ თუნდაც ერთი კონკრეტული ხარვეზის აღმოფხვრის პროცესი, მათ შორის, აეხსნათ, რატომ არ ჰქონდა სკოლას საკუთარი ბიუჯეტი. მისი შეფასებით, ის ხარვეზები, რომელთა გამოსწორება მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს მოითხოვდა, მეტ-ნაკლებად გასაგები იყო, თუმცა გაურკვეველი რჩებოდა, რატომ არ იყო აღმოფხვრილი ის ხარვეზები, რომელთა გამოსწორება სკოლისთვის რაიმე სახის ფინანსურ დანახარჯს არ მოითხოვდა. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის მიმართ დაფიქსირებული იყო ისეთი ხასიათის ხარვეზები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდა დაწესებულების სათანადო ფუნქციონირებას. სკოლის დირექტორის მოადგილემ,

სალომე ზიბზიბაძემ, აღნიშნა, რომ სკოლა საკმაოდ ბევრი გამოწვევის წინაშე იდგა, თუმცა ბოლო 1 წლის განმავლობაში ჰქონდათ მნიშვნელოვანი პროგრესი, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციათა ნაწილი მეტწილად შესრულებული იყო, ხოლო იმ ხარვეზებზე, რომლებიც მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაფიქსირდა, სკოლას დაწყებული ჰქონდა აქტიური მუშაობა. საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, სკოლის დირექტორის მოადგილეს განუმარტა, რომ წინა მონიტორინგის ფარგლებშიც საბჭო დაეყრდნო სკოლის მხრიდან მსგავს პოზიციას და სკოლას მისცა 1 წელი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, თუმცა, აღმოჩნდა, რომ სკოლას არ ჰქონდა მნიშვნელოვანი პროგრესი.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რა ვითარება იყო შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ექსპერტის, კესო ბოყოველის თქმით, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ 2024 წლის დასკვნა, რომლის თანახმადაც, სკოლის შენობის მდგრადობა იყო არადამაკმაყოფილებელი და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო, თუმცა მნიშვნელოვანი დაზიანებები ან დეფორმაცია შენობას არ აღენიშნებოდა. ასევე, დასკვნაში მითითებული იყო რა ღონისძიებები უნდა განეხორციელებინა სკოლას. საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ დასკვნის მოპოვების შემდეგ გასული იყო ორი წელი და სკოლის მდგრადობა უფრო მეტად დადგებოდა ეჭვქვეშ, ვინაიდან სკოლას შენობის გაუმჯობესებისთვის არანაირი ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული, აქვე, დასძინა, რომ გამოსწორებული არ იყო ის ხარვეზებიც, რომელთა გამოსწორებასაც არ ესაჭიროებოდა რაიმე სახის ფინანსური რესურსი, მათ შორის დოკუმენტაციის სწორად წარმოება. მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმებოდა სამომავლოდ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლის დირექტორის მოადგილემ, სალომე ზიბზიბაძემ, აღნიშნა, რომ 1-ელ სტანდარტთან მიმართებით სკოლამ გამოასწორა ხარვეზები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიან სკოლა „რეცას“მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:09
დასრულების დრო: 15:13

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 0
წინააღმდეგი - 11

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის მე-11 პუნქტის და 27-ე მუხლის მე-18 პუნქტის შესაბამისად, შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიან სკოლა „რეცა“-ს (ს/კ: 216305200) გაუუქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 17 აგვისტო.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ სკოლაში ფიქსირდებოდა შენობა-ნაგებობის მდგრადობასთან, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთან, მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარვეზები. მისი თქმით, მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, კერძოდ, ავტორიზაციის 1-ელ, მე-3 და მე-4 სტანდარტებთან. მისი თქმით, აღნიშნული არ წარმოადგენდა პირველად დაფიქსირებულ შეუსაბამობებს და დაწესებულებას უკვე ჰქონდა შესაძლებლობა, რომ გამოესწორებინა გამოვლენილი ხარვეზები. მიუხედავად ამისა, განმეორებითი მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ ხარვეზების დიდი ნაწილი კვლავ გამოუსწორებელი რჩებოდა. საბჭოს თავმჯდომარის მითითებით, გამოვლენილი შეუსაბამობების განმეორებითი ხასიათი, მათი მასშტაბებისა და ერთობლიობის გათვალისწინებით, საბჭომ მიიჩნია, რომ დაწესებულება ვერ უზრუნველყოფდა ავტორიზაციის სტანდარტებთან მოთხოვნების სათანადო და მდგრად შესაბამისობას. შესაბამისად, საბჭომ მიიღო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრა იგივე დღე, 2026 წლის 17 აგვისტო. საბჭოს თავმჯდომარემ, სკოლის წარმომადგენელს განუმარტა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურა.

15:20 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი.

2. შპს - ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ბუაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 03 ივლისს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების განაცხადი.

ექსპერტის თქმით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის (მე-3 სტანდარტი - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შემოწმება. აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის თქმით დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების წესის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებას.
ექსპერტის, მაია ბუაძის, თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულების ახალი ფართი მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა №120-ში. ახალი სასწავლო სივრცე ითვალისწინებდა კურიკულუმის სრულფასოვანი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსების განთავსებას. აღნიშნულ ფართში უზრუნველყოფილი იქნებოდა სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი საკლასო ოთახები, ადმინისტრაციული და დამხმარე სივრცეები, შესაბამისი სასწავლო ინვენტარი, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები და სხვა მატერიალური საშუალებები. ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობა-ნაგებობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი“ გამოირჩეოდა მაღალი საერთაშორისო სტანდარტებითა და ძლიერი სასწავლო-ადმინისტრაციული მმართველობით. სკოლის ერთ-ერთ უმთავრეს ძლიერ მხარეს წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების College Board-ის მიერ მინიჭებული აკრედიტაცია, რაც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ საერთაშორისო ინგლისურენოვან პროგრამებს და აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციაში. სკოლაში არსებობდა მომავლის უნარებზე ორიენტირებული განათლება, როგორიცაა ბიზნეს განათლება, წიგნიერება, მედიაწიგნიერება, ციფრული მოქალაქეობა, ლოგიკა, ჭადრაკი და STEM მიმართულება. გარდა ამისა, დაწესებულებაში წარმატებით მოქმედებდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ექსპერტმა, მაია ბუაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, თუმცა მიმდინარე ეტაპისთვის აღნიშნულ შენობაში გეგმავდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების განთავსებას.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო როდესაც ქალაქ ქუთაისში იქნებოდა მსგავსად კეთილმოწყობილი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის ფართის ცვლილების
საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:38
დასრულების დრო - 15:44

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის (ს/კ: 212807550) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლება განახორციელოს დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შემდეგ მისამართზე:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა N120

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის დეკემბერში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების წესის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 15:48 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი/საბჭოს მდივანი
ჩაკვეტაძე კახაბერ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა